პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 192 (3676)

1968 წ. 29 სექტემბერი, კვირა. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

წინაა პეტროსიან — სპასკის მატჩი

დასრულდა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა პაექრობა. მსოფლიო ჩემპიონთან თამაშის უფლება, ისე როგორც ამ სამი წლის წინ, მოსკოველმა დიდოსტატმა ბ. სპასკიმ მოიპოვა.

სპასკი 31 წლისაა. ჭადრაკს ბავშვობიდან თამაშობს. 12 წლის იგი უკვე ოსტატობის კანდიდატია, 16-ისა — საერთაშორისო ოსტატი, ორი წლის შემდეგ კი საერთაშორისო დიდოსტატი გახდა. 1956 წელს სპასკიმ მოიხვეჭა ჭაბუკებში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, 1961 წელს სსრ კავშირის ჩემპიონობა. პრეტენდენტთა ტურნირში იგი პირველად 1956 წელს გამოვიდა და III-VII ადგილები გაიყო ტ. პეტროსიანთან, დ. ბრონშტეინთან, ე. გელერთან და ლ. საბოსთან. პრეტენდენტებში იგი კვლავ მხოლოდ 1965 წელს ვიხილეთ, როცა მატჩებში დაამარცხა პ. კერესი (5,5:4,5), ე. გელერი (5,5:2,5) და მ. ტალი (5,5:3,5). 1966 წელს სპასკი მსოფლიო ჩემპიონს ტ. პეტროსიანს შეება და დამარცხდა — 11,5:12,5.

და აი, პრეტენდენტთა ახალ ბრძოლაში სპასკიმ კვლავ ისახელა თავი: მოუგო მატჩები ე. გელერს, ბ. ლარსენს (ორივეს — 5,5:2,5), ვ. კორჩნოის (6,5:3,5) და ისევ შეხვდება მსოფლიო ჩემპიონს.

ამ უაღრესად დაძაბულ ბრძოლებში სპასკიმ დიდი ტალანტი, ერუდიცია და მებრძოლის ნიჭი გამოავლინა. შეიქმნა შთაბეჭდილება თითქოს ადვილად სძლია აღიარებულ დიდოსტატებს. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად ჩანს ასე. სინამდვილეში, ყოველი პარტია უდიდეს ნერვულ ენერგიას, სულიერ სიმხნევეს, ფხიზელ გონებას და საუცხოო მომზადებას მოითხოვდა. აღსანიშნავია, რომ სპასკის თითქმის არც ერთხელ არ უმტყუნა პოზიციის შეფასებაში ობიექტურობის გრძნობამ.

დამუხტული ბრძოლის სამაგალითოდ კორჩნოისთან მატჩი გამოდგება. თავიდან ლიდერობდა სპასკი, მაგრამ არც ერთ პარტიაში, მაშინაც კი, როცა თითქოს ორთაბრძოლის ბედი გადაწყვეტილი იყო, მძაფრი ჭიდილი არ დამცხრალა. კორჩნოი შეუპოვარი მებრძოლია, არ უყვარს ყაიმი და „სისხლის უკანასკნელ წვეთამდე" იბრძვის. მეტოქეთა 5 შეხვედრა მაინც დაზავებით დამთავრდა, მაგრამ არც ერთი არ იყო „დიდოსტატური ყაიმი". სამაგიეროდ, სპასკიმ 4 პარტია მოიგო (სამი შავებით), კორჩნოიმ 1, ისიც შავებით.

აღსანიშნავია, რომ მატჩში არ გამეორებულა ერთი და იგივე სადებიუტო სისტემა. მეტოქეებმა მოსინჯეს თავიანთი საყვარელი დებიუტები: ინგლისური დაწყება, ლაზიერის გამბიტი, სიცილიური დაცვა და ერთხელ ძველინდური დაცვაც კი გამოიყენეს. კორჩნოი, რომელიც ამ ბოლო დროს სერიოზულად სწავლობს დებიუტებს, შეეცადა მოენახა სპასკის სადებიუტო მომზადებაში „აქილევსის ქუსლი". ეს ტყუილი ცდა აღმოჩნდა.



ასე დაიწყო 1966 წელს პეტროსიანისა (მარცხნივ) და სპასკის პირველი მატჩი მსოფლიო პირველობაზე. ნაცნობი მეტოქენი ასევე მიუსხდებიან მაგიდას და ბრძოლაც დაიწყება.

კორჩნოიმ გამძლეობაზე თამაშიც სცადა, მაგრამ აქაც ვერაფერი გააწყო.

სპასკიმ დაგვარწმუნა, რომ დღეისთვის მხოლოდ ისაა პეტროსიანის ღირსეული მოცილე.

პეტროსიან — სპასკის ახალი მატჩი, რომელიც 1969 წლის აპრილში დაიწყება მოსკოვში, დიდ ინტერესს იწვევს. საქმე ისაა, რომ ამჯერად სპასკი უფრო გამოცდილი, მომზადებული ითამაშებს. როგორ წარიმართება ბრძოლა, ძნელი სათქმელია. სპასკი უაღრესად მძიმე ამოცანის წინაშეა.

პირველ მატჩში სპასკის და მის მწვრთნელს ი. ბონდარევსკის ეგონათ, რომ პეტროსიანი ვერ გაუძლებდა მძაფრ ტაქტიკურ შეტაკებას. მაგრამ ფრთხილმა და აუჩქარელმა მსოფლიო ჩემპიონმა ისეთი კომბინაციური ნიჭი გამოავლინა, რომ ყველა გააოცა. სპასკიმ დაკარგა თამაშის გეზი და მშვიდობიან თამაშს თვითონ ეძებდა.

საინტერესოა, როგორ ტაქტიკას დაადგება სპასკი. პეტროსიანის თამაშის საიდუმლოების ამოხსნა არც თუ ადვილია. მ. ბოტვინიკი ამბობს, რომ მსოფლიო ჩემპიონის თვითმყოფადი ნიჭი მის მეტოქეთათვის დიდი კითხვის ნიშანია.

ტ. გიორგაძე.

მეათე პარტია

ვ. კორჩნოი — ბ. სპასკი

ლაზიერის გამბიტი

1. d4 d5 2. c4 e6 3. მc3 კe7 4. მf3 მf6 5. e3 0—0 6. a3 b6 7. cd ed 8. კd3 c5 9. მe5 კb7 10. მe2 მc6 11. b3 კd6 12. მ:c6 კ:c6 13. კb2 ეe8 14. მg3 g6 15. 0—0 ეc8 16. კa6 ეc7 17. ეc1 ეe6 18. კe2 h5 19. dc bc 20. კf3 კb5 21. ეe1 კe5 22. კ:e5 ე:e5 23. b4 h4 24. მe2 კ:e2 25. ე:e2 cb 26. ab ე:c1 27. ლ:c1 ლb6 28. ლb2 d4 29. ლ:d4 ლ:d4 30. ed ეb5 31. მფf1 ე:b4 32. ეd2 a5 33. მფe2 მe8 34. კc6 მd6 35. d5 მფf8 36. მფd3 ეb3+ 37. მფc2 ეa3 38. მფd1 a4 39. ეd4. ყაიმი.

ბოლო ტურის წინ

კისლოვოდსკში დასასრულს უახლოვდება [illegible] საჭადრაკო კლუბის საერთაშორისო ტურნირი. [illegible] ნახევარფინალი, XIV ტური. გელერმა იოლად დაამარცხა ორეჯი. ვასიუკოვისა და ნიკოლიჩის პარტია გადაიდო ამ უკანასკნელის უპირატესობით. შამკოვიჩს უარესი მდგომარეობა აქვს უნგრელ ხონფისთან. ხასინი აგებს რიცთან. ყაიმით დამთავრდა გურგენიძე — იგნატიევისა და კნეჟევიჩ—ჩოკილტიას პარტიები. დამამთავრებელი ტურის წინ გელერს 9,5 ქულა აქვს 13 შესაძლებლიდან. გურგენიძემ დაამთავრა ტურნირი და 9 ქულა მოაგროვა. ვასიუკოვს აქვს 8 ქულა 12-დან და 1 დაუმთავრებელი პარტია, ჩოკილტიას — 7,5 (14-დან), იგნატიევს და ხასინს 7-7 (12-დან) და თითო გადადებული პარტია, ბრონშტეინს, გუფელდს და შამკოვიჩს 6,5-6,5 (12-დან) და თითო გადადებული პარტია.

„კოლმეურნე" — პირველ ადგილზე

ალმა-ათაში მიმდინარე სოფლის ცხენოსანთა საკავშირო ასპარეზობაში დიდ წარმატებას მიაღწია საქართველოს „კოლმეურნეს" ნაკრებმა. კონკურისტთა ტურნირში ქართველმა მხედრებმა ყველას აჯობეს და დაისაკუთრეს ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პრიზი.

კორეელ გოგონათა სიურპრიზი

ჰავანაში დამთავრებულ „ოლიმპიური იმედების" ტურნირში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ფრენბურთელ გოგონათა ნაკრებმა დაუმარცხებლად განვლო ასპარეზობა და I ადგილი დაისაკუთრა. II ადგილი წილად ხვდათ მასპინძლებს.

მატჩი უმაყურებლოდ

თბილისის ზამთრის საცურაო აუზში პარასკევს გამართულ „დუისბურგ-98"-ისა (გფრ) და თბილისის „ლოკომოტივის" წყალბურთელთა საერთაშორისო შეხვედრაზე ასამდე მაყურებელსაც კი ვერ დათვლიდით. ამასთან, მათ უმრავლესობას წარმოადგენდნენ სხვა კლუბების წყალბურთელები და რესპუბლიკის სპორტორგანიზაციათა რამდენიმე წარმომადგენელი. ყოველივე ეს იმიტომ მოხდა, რომ წყალბურთში საერთაშორისო შეხვედრათა ორგანიზატორებმა უხერხულ დროს დანიშნეს პირველი მატჩი. ამ დღეს თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები „პახტაკორს" ხვდებოდნენ. მართალია, ამ ორი სხვადასხვა ასპარეზობის დასაწყისში სხვაობა თითქმის 3 საათი გახლდათ, მაგრამ მოგეხსენებათ ერთი სანახაობიდან მეორეზე წასვლა, ყველასთვის მოსახერხებელი როდია. ამასაც რომ თავი დავანებოთ, საერთაშორისო შეხვედრის ორგანიზატორებმა თავის დროზე არ იზრუნეს მატჩის სათანადო რეკლამისთვის. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ შეხვედრაზე მაყურებელი ცოტა იყო.

მატჩის სუსტი ორგანიზაციის შესახებ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ შეხვედრის არბიტრის ძებნა უშუალოდ თამაშის დაწყების წინ დაიწყეს. არ ვიცით, ვის დანიშნავდნენ მსაჯად, შეხვედრის საყურებლად მოსული სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. გვახარია რომ არ ენახათ. წარსულში სახელგანთქმული წყალბურთელი თამაშზე იმ განწყობით როდი იყო მოსული, რომ ემსაჯა, მაგრამ გამოუვალი მდგომარეობის გამოსწორება აუცილებელი იყო და ისიც დათანხმდა მასზე ნაუცბათევად დაკისრებულ მოვალეობას. იმასაც დავსძენთ, რომ მან პირუთვნელად შეასრულა ეს მოვალეობა.

ახლა თვით მატჩის შესახებ.

სტუმრებმა დასაწყისშივე შეუტიეს ლოკომოტიველთა კარს და შექმნეს კიდეც საგოლე მომენტი. მაგრამ თბილისელთა მეკარემ შესანიშნავად განმუხტა საშიში მდგომარეობა. თუმცა, ცოტა ხნის შემდეგ კიუპერმა მისგან შორეულ კუთხეში ზუსტად ტყორცნა ბურთი. ცოტა ხანში თითქმის ასეთივე მდგომარეობიდან თბილისელმა ბ. მარგიევმა აღადგინა წონასწორობა — 1:1. ასე დამთავრდა I პერიოდი. II პერიოდში გერმანელთა კარში დაინიშნა ოთხმეტრიანი საჯარიმო, რომელიც კარგად გამოიყენა მარგიევმა — 2:1. მაგრამ დისტერმა მალე მოახერხა ანგარიშის გაქვითვა — 2:2. ამის შემდეგ სტუმრები იღებენ ოთხმეტრიანი საჯარიმოს რეალიზაციის უფლებას, რასაც კარგად იყენებს კიუპერი. დაწინაურდა „დუისბურგ-98" — 3:2. III პერიოდის დასაწყისში ორივე გუნდის კარში ერთდროულად ინიშნება ოთხმეტრიანი საჯარიმო. ჯერ მარგიევს და შემდეგ ხილკეს თითო გოლი გააქვთ. კვლავ წინ არიან სტუმრები, მაგრამ პერიოდის დასასრულს მარგიევს კვლავ ოთხმეტრიანი საჯარიმოდან გააქვს გოლი და ანგარიში საყაიმო ხდება — 4:4. დასკვნით, IV პერიოდში რ. გოგუაძემ სათამაშო სიტუაციიდან გაიტანა ლამაზი გოლი და გუნდი დააწინაურა.—5:4, მაგრამ ეს უპირატესობა ხანმოკლე გამოდგა: კიუპერმა მალე გაათანაბრა ანგარიში — 5:5. როცა მატჩის დრო მიიწურა, გერმანელთა კარში დაინიშნა ოთხმეტრიანი საჯარიმო, რომელიც გამარჯვების მაუწყებელი გოლით დააგვირგვინა მარგიევმა — 6:5.

დღეს გერმანელები გამართავენ კიდევ ერთ მატჩს. ამჯერად მათი მეტოქე იქნება თბილისის „ბურევესტნიკი".

შეხვედრის დასაწყისი 17 საათზე.

ჯ. ენდელაძე.

თბილისის მ. თოიძის სახელობის № 11 სამხატვრო პროფტექსასწავლებლის ტურისტულმა ჯგუფმა (კ. გირგიტოვი, ა. აბრამიშვილი, ნ. ნამგალაური, ჯ. ბადალაშვილი) მოაწყო ბაიდარებით ლაშქრობა ქვაიშიდან ფოთამდე. მათ ყვირილაზე, რიონსა და პალიასტომის ტბაზე 7 დღეს დაჰყვეს.

სურათზე: ნავით რიონის ტალღებზე.

ფოტო ა. აბრამიშვილისა.

საქართველოს სპორტულ ღონისძიებათა 1968 წლის დამაგრებითი კალენდარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოლეიბოლი (საგზატკეცილო)

1. საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი. 16-20 ოქტომბერი. ქობულეთი.

ვოლეიბოლი (ტრეკი)

1. საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი. 24-26 ოქტომბერი. თბილისი.
2. სსრ კავშირის თასი. 1-5 ოქტომბერი. ერევანი.

თავისუფალი ჭიდაობა

1. სსრ კავშირის პირადი პირველობა ახალგაზრდებს შორის. 4-8 ოქტომბერი. რიგა.
2. „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა. 5-7 ოქტომბერი. რუსთავი.
3. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდებს შორის. 7-10 ნოემბერი. თბილისი.

თანაბრადროვე ხუთჭიდი

1. საქართველოს სპორტკავშირის ბრიზის გათამაშება. 23-28 ოქტომბერი. თბილისი.

კალათბურთი

1. საქართველოს ჩემპიონატის დასკვნითი ტური I-VI ადგილებისთვის შებრძოლ კოლექტივებს შორის. 13-17 ოქტომბერი. თბილისი.

კლასიკური ჭიდაობა

1. სსრ კავშირის პირადი პირველობა ახალგაზრდებს შორის. 11-15 ოქტომბერი. ტაშკენტი.
2. საქართველოს პირადი პირველობა სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდებს შორის. 22-25 ოქტომბერი. სამტრედია.
3. „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა. 11-13 ოქტომბერი. თბილისი.
4. „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ღია პირველობა. 4-7 ოქტომბერი. თბილისი.

ფაგიდის ჩოგბურთი

1. სსრ კავშირის თასი. 1-8 ოქტომბერი. კიშინიოვი.

მძლეოსნობა

1. საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი. 11-15 ოქტომბერი. ბათუმი.

ნიჩბოსნობა (ბაიდარებითა და კანოეთი)

1. საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა კოლექტივებისთვის. 27-29 ოქტომბერი. თბილისი.

სამბო

1. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრებ გუნდებს შორის. 24-27 ოქტომბერი. კასპი.
2. „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა. 2-3 ნოემბერი. თბილისი.
3. „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ღია პირველობა. 15-17 ნოემბერი. თბილისი.

სათხილამურო სპორტი

1. რესპუბლიკური ტურნირი „ლელოს“ პრიზზე. 24-28 დეკემბერი. ბაკურიანი.

სასტენდო სროლა

1. საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდებს შორის. 11-13 ოქტომბერი. თბილისი.

ტანვარჯიში

1. საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი. 11-16 ნოემბერი. სამტრედია.
2. „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა. 15-17 ნოემბერი. თბილისი.
3. „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ღია პირადი პირველობა. 15-17 დეკემბერი. თბილისი.

ტყვიის სროლა

1. საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი რაიონებისა და ქალაქების გუნდებს შორის. 11-18 ნოემბერი. თბილისი.
2. „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ღია პირადი პირველობა. დეკემბერი. თბილისი.

ფარიკაობა

1. თბილისის უძლიერეს მოფარიკავეთა ტურნირი. 22-29 ნოემბერი. თბილისი.
2. „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს ღია პირადი პირველობა. 6-8 დეკემბერი. თბილისი.

ჭართული ჭიდაობა

1. საქართველოს აბსოლუტური პირველობა. 26-29 ოქტომბერი. თბილისი.
2. „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა. ზონალური შეჯიბრებები: 1-14 ოქტომბერი. გორი, ტყიბული. 18-21 ოქტომბერი. გურჯაანი, სამტრედია. ფინალი. 1-4 ნოემბერი. თბილისი.

ცურვა

1. მოსკოვის ოლქისა და თბილისის სპორტსმენთა უმაღლესი დაოსტატების სკოლების მატჩი. 15-20 ოქტომბერი. თბილისი.
2. „ძმიარული დელფინის“ რესპუბლიკური შეჯიბრება. 1-5 დეკემბერი. თბილისი.

ცხენოსნობა

1. საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი. 22-28 ოქტომბერი. ცხაკაია.

წყალბურთი

1. საქართველოს სპორტკავშირის თასის გათამაშება. 16-23 ოქტომბერი. თბილისი.

ძალოსნობა

1. „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა. 26-27 ოქტომბერი. რუსთავი.
2. სოხუმის, ბათუმის, ქუთაისისა და რუსთავის ნაკრები გუნდების სამატჩო შეჯიბრება. 8-11 დეკემბერი. ქუთაისი.
3. თელავის, ზუგდიდის, ზესტაფონის, მახარაძის, ახალციხის, ცხინვალის, ჭიათურისა და ტყიბულის გუნდების ტურნირი. 12-14 დეკემბერი. ტყიბული.

ჭადრაკი

1. დიდოსტატებისა და ოსტატების ტურნირი. ვ. ქარსელაძის სახელობის თასზე 15 ნოემბერი-10 დეკემბერი. გორი.

ხელბურთი

1. „ა“ კლასის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დამამთავრებელი ტური. 3-11 ოქტომბერი. თბილისი.

უფრო ეფექტური იქნებოდა

ჩვეულებრივ წარმოების ავ-კარგის გაცნობას საწარმოო მაჩვენებლებით იწყებენ. № 6 სამკერვალო ფაბრიკასთან ჩვენი ნაცნობობაც ამით დაიწყო. შემდეგ კი საუბარს უფრო კონკრეტული ხასიათი მიეცა. დაგვაინტერესა თბილისის ამ ერთ-ერთ მოწინავე ფაბრიკაში (ფაბრიკამ II კვარტალის მაჩვენებლების შედეგად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი დროშა დაიმსახურა) როგორ არის დანერგილი მშრომელებთან გამჯანსაღებელი მუშაობა.

სტუმრობა დილის ფიზკულტურულ პაუზას დაემთხვა. მეგზურობას გვიწევდა ინსტრუქტორ-მეთოდისტი ჯ. მორგოშია. ვნახეთ, რომ მშრომელთა გაჯანსაღების ეს საშუალება აქ სათანადო დონეზეა. განსაზღვრულ დროს, როცა რეპროდუქტორები მკერავებს ვარჯიშისკენ მოუწოდებს, ყველა რიგორც ერთი, ხალისით ასრულებს რადიოს მიერ გადმოცემულ კომპლექსს.

— სამწუხაროდ, კომპლექსებით მეტად ღარიბნი ვართ. საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის შარშანწინდელი დადგენილებით ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს საწარმოდაწესებულებანი ტანვარჯიშის რამდენიმე კომპლექსით უნდა მოემარაგებინა, მაგრამ დღემდე მოვახერხეთ მხოლოდ სამი ვარჯიშის ჩაწერა, რომელთაც ერთმანეთს ვუნაცვლებთ. და მაინც იგრძნობა ერთფეროვნება, ეს კი თანამშრომლებში მოსაწყენს ხდის ამ სასარგებლო ღონისძიებას, — გვითხრა მორგოშიამ.

ჩვენ დავუმატებთ: საწარმოო ტანვარჯიში უფრო ეფექტური იქნებოდა, საამქროები უკეთ რომ იყოს რადიოფიცირებული. არსებული რეპროდუქტორები ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს.

ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარეს, ფაბრიკის დირექტორს მარიამ ავალიანს, პარტბიუროს მდივანს გიული ნიკოლაიშვილს, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარეს მაყვალა გაგნიძეს, კომკავშირული ორგანიზაციის მდივანს ლუიზა ფირცხალავას მჭიდრო კავშირი აქვთ ფიზკულტურულ აქტივთან და ყველაფერს აკეთებენ მუშა-მოსამსახურეთა შორის გამჯანსაღებელი ღონისძიებების სათანადო დონეზე დაყენებისთვის. მაგალითისთვის, ისიც კმარა თუ ვიტყვით, რომ აქ ტურისტული მოგზაურობისთვის საჭირო ყველა ინვენტარი შეიძინეს და კვირაში ორდღიან დასვენებაზე გადასვლის შემდეგ, ხშირად აწყობენ ქალაქგარეთ ღამისთევით ლაშქრობებს. წლეულს აგვისტოში ფაბრიკის დირექციის თაოსნობით მოეწყო კუთვნილ შვებულებაში კოლექტიური გასვლა. ეს პერიოდი მრავალდღიანი ლაშქრობისთვის გამოიყენეს: იყვნენ სოხუმში, გაგრაში, ბიჭვინთასა და რიწაზე. ლაშქრობის დროს როგორც წესი, თან მიჰქვთ სპორტინვენტარიც: აწყობენ შეჯიბრებებს ფრენბურთში, კალათბურთსა და სხვა სახეობებში.

მკერავები არც ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში ჩამორჩენიან. მართალია, ფაბრიკასთან ეზოს სიმცირის გამო არა აქვთ ბაზები, მაგრამ სამაგიეროდ, 300 არაგველის ბაღში მოასპარეზეთა მისაღებად მუდამ მზადაა მათი კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები.

ფაბრიკის კომუნისტური შრომის ოთხ საამქროში 683 დამკვრელია. ამ წარმატებაში, როგორც თვითონ ამბობენ, დიდ დახმარებას უწევთ გამჯანსაღებელი ღონისძიებები.

— 6 წელია აქ ვმუშაობ. თავდაპირველად მიჭირდა გეგმების შესრულება, მაგრამ შემდეგ, როცა საწარმოო ტანვარჯიშში ჩავედი, შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად გაიზარდა, ამაღლდა ჩემს მიერ დამზადებული საკონლის ხარისხიც, — გვითხრა ექსპერიმენტული საამქროს მკერავმა ციური გოგოშვილმა.

ნინო ხარებავა.



სოხუმის ყურეში. ფოტოეტიუდი ვ. სემიონოვისა.

რაკურიტი

ცხაკაია

ქალაქის ტირში გაიმართა მეხალიჩეთა ტურნირი ტყვიის სროლაში. ასპარეზობაში 350 სპორტსმენი მონაწილეობდა. მცირეკალიბრიანი შაშხანით ქალთა ტურნირი მოიგო მ. სოსელიამ, რომელმაც 100-დან 85 ქულა დააგროვა. ვაჟებში ყველას აჯობა მ. სანაიამ — 88 ქულა. სოსელიამ გაიმარჯვა პისტოლეტით სროლაშიც. ვაჟებში პირველი იყო ე. აბრამია.

ე. გუგუნავა.

ზუგდიდი

კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის პირველობა რეოლვერით სროლაში მოიგო ს. ლაგვილავამ. II ადგილზე გავიდა ვ. შერვაშიძე.

ბ. ალშიბაია.

წითელწყარო

ამ ბოლო ხანს წითელწყაროს რაიონში ბევრი სპორტული ბაზა მოეწყო. ასე მაგალითად, სოფლებში — ჯაფარიძეში და ზემო ქედში მოაწყვეს მარტივი ტიპის მოედნები. სოფელ გამარჯვებაში კი ახალგაზრდებმა მიიღეს კეთილმოწყობილი ფეხბურთის მინდორი და ფრენბურთის მოედანი. სოფელ აზიილოსკალოში მიმდინარეობს კომპლექსური ბაზის მშენებლობა, თვით წითელწყაროში კი მწყობრში ჩადგა საჭიდაო სარბიელი. რაიონულ ცენტრში მალე დაიწყება სპორტული დარბაზისა და საცურაო აუზის მშენებლობა.

ბ. კაკალაშვილი.

„ლელოს“ ფაქიზადის ტაფაზე

„რატომ არა გვაქვს საჭადრაკო კლუბი?“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 21 ივლისის ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო ომის თაობაზე, რომ რუსთავის ქიმიკოსთა კულტურის სახლთან არსებული საჭადრაკო კლუბი ფართობის სიმცირის გამო ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

როგორც რედაქციას საქართველოს კომუნისტური პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ო. წვერავამ აცნობა, საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ერთად მიღებულ იქნება ზომები აღნიშნული კლუბისთვის უკეთესი პირობების შესაქმნელად.

* * *

ჩვენი გაზეთი 27 ივნისის ნომერში იტყობინებოდა მჭადიჯვრელი ახალგაზრდების გასაჭირზე. სოფელში არც ერთი სპორტული ბაზა არა გვაქვსო. — გვწერდნენ ისინი.

რედაქციას საქართველოს კომუნისტური პარტიის დუშეთის რაიკომის მეორე მდივანმა ა. ახობაძემ აცნობა, რომ სოფელ მჭადიჯვრის კოლმეურნეობამ სპორტული მოედნისთვის გამოყო ფართობი, შეძენილია ინვენტარი ფრენბურთის, კალათბურთის და ხელბურთის მოედნების მოსაწყობად. ახლო მომავალში სოფელ მჭადიჯვარში ყველა პირობა იქნება შექმნილი სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად.

ფავორიტები

ჰოლანდიელი მოცურავე ადა კოკი ამ სახეობისთვის უკვე საკმაოდ ხანშესულია. ამის მიუხედავად, მან წლეულსაც შეინარჩუნა სპორტული ფორმა და მსოფლიოს რეკორდსმენი თავისი ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში პირველ ნომრად ჩაირიცხა. კოკი (სურათზე) მეხიკოში ბატერფლაით ცურვაში უძვირფასესი ჯილდოსთვის იბრძოლებს, თანაც განზრახული აქვს მსოფლიო რეკორდების გაუმჯობესება.



მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში დიდ ინტერესს გამოიწვევს ცოლქმრის — ზინაიდა და მიხეილ ვორონინების გამოსვლა. ალბათ არცერთ ოჯახურ წყვილს გამარჯვების ისეთი შანსი არ ექნება, როგორც მათ. მიხეილი ბოლო წლებში საბჭოთა ტანმოვარჯიშე ვაჟების აღიარებული ლიდერია. მართალია, სსრ კავშირის ბოლო პირველობაში იგი ავადმყოფობის გამო, ვერ გამოვიდა, მაგრამ შემდეგ გულმოდგინე ვარჯიშით აღიდგინა სპორტული ფორმა და მეხიკოში ოქროს მედლის ერთ-ერთი ძირითადი პრეტენდენტი იქნება.



არიან ათლეტები, რომლებიც თავიანთი წარმატებებით მთელ ეპოქას ქმნიან სპორტში. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება პოლონელი ვოლდემარ ბაშანოვსკი. მარტო ტიტულების ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. ბაშანოვსკი — მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და რეკორდსმენია. ეს ბრწყინვალე ძალოსანი თავისი ქვეყნის რეკორდსმენი იყო ორ წონით კატეგორიაში — ქვემსუბუქსა და მსუბუქში. ბოლო ხანს იგი მხოლოდ მსუბუქ წონაში გამოდის და თითქმის ყოველთვის გამარჯვებული ტოვებს ფიცარნაგს.

MEXICO · 1968 · MEXICO · XIX · MEXICO · 1968

ოლიმპიადის გახსნამდე დარჩა 13 დღე

[illegible] სიახლეები

რანგუნი, 28 სექტემბერი. 4 სპორტსმენი და 3 ოფიციალური პირი მიავლინა ბირმამ ოლიმპიურ თამაშებზე. ამ ქვეყნის წარმომადგენლები იასპარეზებენ სპორტის მხოლოდ 2 სახეობაში — მძლეოსნობასა და კრივში.

ტულუზა, 28 სექტემბერი. აქედან მეხიკოს გაემგზავრა ფრანგ ოლიმპიელთა პირველი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშია 105 სპორტსმენი — მძლეოსნები, მოკრივეები, ფეხბურთელები, მოფარიკავეები, ცხენოსნები და ნიჩბოსნები.

რომი, 28 სექტემბერი. იტალიის ოლიმპიური გუნდის უკვე მესამე სპორტსმენი დარჩა შინ. ესაა ჭოკით მხტომელი, ქვეყნის ჩემპიონი რ. დიონისი, რომელმაც მუხლი დაიზიანა. მანამდე ასეთი ბედი ეწიათ ბადროს მტყორცნელ სიმეონსსა და სპრინტერ ჯანატასიოს.

პრაღა, 28 სექტემბერი. 124 ჩეხოსლოვაკიელ ოლიმპიელთაგან ყველაზე „ხანდაზმულია" 37 წლის ფრენბურთელი ბ. გოლიანი, ყველაზე ახალგაზრდა—წყალში მხტომელი, 16 წლის გოგონა მ. დუხკოვა, ყველაზე მძიმე — 125-კილოგრამიანი მოჭიდავე პ. კმენტი, მსუბუქი — 49-კილოგრამიანი ნიჩბოსანი კ. კოვარჟა. დელეგაციაში წინა ოლიმპიადებში 5 გამარჯვებულია — ტანმოვარჯიშე ვ. ჩასლავსკა, ძალოსანი ჰ. ზდრაჟილა, ველომრბოლელი ი. დალერი, ნიჩბოსანი ვ. კოზაკი და მოკრივე ბ. ნემეჩეკი.

მონტერეი (მექსიკა), 28 სექტემბერი. აქ მიმდინარეობს კალათბურთელთა ფინალური ჯგუფის 2 ვაკანტური ადგილის პრეტენდენტთა ტურნირი. პოლონეთმა დაამარცხა ავსტრალია — 68:64, ესპანეთმა — ინდონეზია — 105:69.



მეხიკო. XIX ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნამდე მცირე დრო დარჩა. სპორტსმენები, რომლებიც ამ ქალაქში უკვე ჩამოვიდნენ, რეგულარულად ვარჯიშობენ.

სურათზე: საბჭოთა მწვრთნელი ვ. ალექსეევი მითითებას აძლევს ბადროს მტყორცნელ ა. პოპოვას.

ფოტო იუპი-საკდესისა.

ფენომენალური შედეგით

მეხიკო, 28 სექტემბერი. ნამდვილად ფენომენალური შედეგი აჩვენეს ჩვენმა მძლეოსანმა ქალებმა ესტაფეტაში 4×100 მ — 43,6. მათ გაიმეორეს მსოფლიო რეკორდი. ეს მოხდა თამაშების დედაქალაქში 17 ქვეყნის სპორტსმენთა ოლიმპიადისწინა ამხანაგურ ასპარეზობაში. II ადგილი დაიკავეს კუბის წარმომადგენლებმა — 44,8, III — ავსტრალიელებმა — 45,8. ჩვენი კვარტეტი ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: ლ. ჟაროვა, გ. ბუხარინა, ვ. პოპკოვა და ლ. სამოტიოსოვა. 100 მეტრზე ვაჟთა რბენაში პირველი იყო საბჭოთა სპორტსმენი ვ. საპეია — 10,2. მას 0,1 წამით ჩამორჩნენ კუბელი ე. რამირესი, ავსტრალიელი პ. ნორმანი, პერუელი ფ. ასეველო და არგენტინელი ა. კოლონე. ჩვენი ქვეყნის ვაჟთა კვარტეტმა (ა. ხლოპოტნოვი, ე. სინიაევი, ნ. ივანოვი, ვ. საპეია) ესტაფეტაში 4×100 მ მანძილი დაფარა—39,1 წამში, მაგრამ მას II ადგილი მიეკუთვნა. პირველები იყვნენ კუბის წარმომადგენლები — 39,0.

სიმაღლეზე მხტომელ ქალთა შორის ყველას აჯობა საბჭოთა სპორტსმენმა ა. ოკოროკოვამ — 182 სმ. ლატვიელი ი. ვერბელი პირველი იყო 400 მეტრზე ქალთა რბენაში — 54,4. მსოფლიო რეკორდსმენის ი. ლუსისის შუბმა 89,62 მ იფრინა, ბირთვის კვრაში ე. გუშჩინმა აჩვენა 19,02 მ.

საფოსტო ნიშნები

1896 წელს საბერძნეთის საფოსტო განყოფილებებში გამოჩნდა პირველი ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი საფოსტო ნიშნები. თორმეტ მინიატურაზე, რომელთა ესკიზები შეასრულა ფრანგმა მხატვარმა გ. ჟილერონმა, ასახული იყო კრივი, ბადროს მტყორცნელი, ეტლების რბოლა, უძველესი სტადიონი აკროპოლის ფონზე, გამარჯვების ქალღმერთი ნიკე და სხვა სიუჟეტები. საფოსტო ნიშნების მთელი ტირაჟი დაიბეჭდა პარიზის სახელმწიფო სტამბაში.

სწორედ ამ სერიიდან იწყება ოლიმპიური საფოსტო ნიშნების ისტორია. ამ დღიდან ბევრმა კოლექციონერმა მიჰყო ხელი ოლიმპიური საფოსტო მარკების შეგროვებას. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საბერძნეთში ოლიმპიური საფოსტო ნიშნების გამოშვების დღიდან მხოლოდ 24 წლის გასვლის შემდეგ გამოუშვეს ახალი ოლიმპიური საფოსტო ნიშნები. ეს გააკეთა ბელგიამ, როცა ანტვერპენში VII ოლიმპიური თამაშები ტარდებოდა.

ამის შემდეგ ხულ უფრო ფართოვდებოდა ოლიმპიური ფილატელიის გეოგრაფია. საბჭოთა სპორტსმენებმა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა პირველად მიიღეს 1952 წელს ჰელსინკში. იქ ჩვენმა სპორტსმენებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. სამწუხაროდ, მაშინ საბჭოთა სპორტსმენების წარმატებას ჩვენი ფოსტა არ გამოეხმაურა. სსრ კავშირში პირველი ოლიმპიური საფოსტო ნიშნები გამოვიდა 1957 წლის 27 ივლისს. იგი მიეძღვნა XVI ოლიმპიურ თამაშებს, რომელიც 1956 წელს მელბურნში ჩატარდა. სერია შედგებოდა 6 საფოსტო ნიშნისგან, რომელთა ესკიზები შეასრულა საფოსტო ნიშნების ძველმა ოსტატმა ვ. ზავიალოვმა. საინტერესოა, რომ ზავიალოვმა ნახატები შეასრულა ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონების ფოტოსურათებიდან. პირველ მარკაზე ასახულია სტაიერი, რომელშიც იცნობთ ვ. კუცს. მეორე მინიატურაზე შუბის მტყორცნელი ი. იაუნზემეა დახატული, მესამეზე — ტანმოვარჯიშე ვ. ჩუკარინი. დანარჩენი საფოსტო ნიშნები ასახავენ კრივს, ფეხბურთსა და ძალოსნობას.

საბჭოთა ოლიმპიური ფილატელიის დაბადებას კოლექციონერები დიდი სიხარულით შეხვდნენ. ამ პერიოდიდან მოყოლებული, ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიადებისადმი მიძღვნილ საფოსტო ნიშნებს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო რეგულარულად უშვებს.

რომის XVII ოლიმპიურ თამაშებს მიეძღვნა 10 დიდფორმატიანი საბჭოთა საფოსტო მარკა. ნიშნებზე ასახული იყო რბენა, შერკინება კლასიკურ ჭიდაობაში, ასპარეზობა ძალოსნობაში და სხვ.

ყველაზე „უხვმოსავლიანი" იყო 1964 წელი, როცა ტოკიოს ოლიმპიადა იმართებოდა. უკვე ოლიმპიადის დაწყებამდე 1 წლით ადრე, სხვადასხვა ქვეყნებში დაიწყეს ოლიმპიური საფოსტო ნიშნების გამოშვება. სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ ტოკიოს ოლიმპიადას მიუძღვნა 6 საფოსტო ნიშანი, რომლებიც შეასრულეს მხატვრებმა პ. ბენდელმა და ი. შაპენკოვმა. ამ საფოსტო ნიშნებზე ასახული იყო ძალოსნობა, ტანვარჯიში, ფარიკაობა, ცხენოსნობა, მძლეოსნობა და კანოეთი ასპარეზობა.

და აი, დადგა მეხიკოს ოლიმპიადის დაწყების ჯერიც. საბჭოთა ფილატელია ტრადიციულად ამ ოლიმპიადასაც გამოეხმაურა და უკვე გამოშვებულია საფოსტო ნიშნები, რომლებზეც ნახავთ მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, ძალოსნობის, ნიჩბოსნობისა და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებს.

ბ. ზამბახიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხურცილავა „ტრადიციას“ არ ღალატობს

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 27 სექტემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „პახტაკორი“ (ტაშკენტი) 2:1 (1:0).

„დინამო“: ურუშაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ხურცილავა, კანთელაძე, პეტრიაშვილი, ილიადი, ასათიანი, მეტრეველი, გავაშელი, მესხი.

„პახტაკორი“: ლიუბარცევი, დოცენკო, შტერნი (შარიფოვი), ნაუმენკო, ინოიატოვი, იუნუსოვი (რახმატულაევი), პეტუხოვი, ბექთაშევი, აბდურაიმოვი, კრასნიცკი, იბრაგიმოვი.

მსაჯი: ს. არბიპოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 4:2 დინამოელთა სასარგებლოდ.

მას შემდეგ, რაც ტაშკენტის „პახტაკორმა“ მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი აუტსაიდერთა შორის, ბუნებრივად დაისვა საკითხი, რა უფრო კანონზომიერია: უზბეკი ფეხბურთელების სატურნირო მდგომარეობა, თუ მათი თასის ფინალში მონაწილეობა. განა მართლაც პარადოქსი არ არის, რომ სსრ კავშირის თასის წლევანდელი გათამაშების ფინალისტი (და შესაძლოა სპატიო ჯილდოს მომავალი მფლობელი) „ა“ კლასის II ლიგაში გადასვლის ყველაზე ნაღდი კანდიდატი იყოს?

„პახტაკორის“ ხელმძღვანელობა, ამ ერთი შეხედვით, არანორმალურ მდგომარეობას საკმაოდ მარტივად და დამაჯერებლად ხსნის. გუნდმა ბოლო ხანებში შესამჩნევი დანაკლისი განიცადა, განსაკუთრებით დაცვისა და ნახევარდაცვის რიგებში. ახალგაზრდებს კი, რომლებმაც საპასუხისმგებლო პოსტებზე შეცვალეს ვეტერანები, ჯერ არც ოსტატობა ყოფნით და არც გამოცდილება. საბუთი, როგორც ხედავთ, დამაჯერებელია და ჩვენ უფლება არ გვაქვს უარვყოთ იგი.

თავიანთ წარმატებას თასის გათამაშებაში ისინი ხსნიან იმით, რომ ერთი ორი მატჩის ჩატარება მაქსიმალური თავგანწირვით ნებისმიერ გუნდს შეუძლია, და რა გასაკვირია, რომ ისეთმა გამოცდილმა კოლექტივმა, როგორიც „პახტაკორია“, კარგად გამოიყენა თასის სპეციფიკა და მისი გათამაშების უმაღლეს საფეხურზე ამოჭყო თავი.

მაგრამ ტაშკენტელთა ძალა, მათი პოტენციური შესაძლებლობანი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ეს დღეს ჩანს. გადახედეთ გუნდს, რომლის შემადგენლობაში თამაშობს საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერი აბდურაიმოვი, ერთ-ერთი უძლიერესი და თავისებური ფორვარდი კრასნიცკი და საერთოდ, საკმაოდ ტექნიკური და მოქნილი თავდასხმა. დააკვირდით ამ გუნდის თამაშის სტილს და დარწმუნდებით, რომ უზბეკი ფეხბურთელების წარუმატებლობა დროებით ხასიათს ატარებს.

ყოველ შემთხვევაში, თბილისის „დინამოსთან“ შეხვედრაში „პახტაკორი“ ყველაზე ნაკლებად ჰგავდა გუნდს, რომელმაც შესაძლოა დატოვოს „ა“ კლასი. ჩვენი გუშინწინდელი სტუმრები თამაშობდნენ გაბრაზებულად, აქტიურად, მონდომებით და კინაღამ სასურველ შედეგსაც მიაღწიეს. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო აბდურაიმოვის ორი გარღვევა, რომელიც ადვილად შეიძლებოდა გოლით დაგვირგვინებულიყო, ავრეთვე, კრასნიცკის, ბექთაშევისა და იბრაგიმოვის ძლიერი დარტყმები.

გოლი, რომელიც „პახტაკორმა“ მეორე ტაიმში გაიტანა, ერთობ მოულოდნელი გახლდათ, სამაგიეროდ სტუმრებმა, იმავე მეორე ნახევარში ვერ გამოიყენეს ინგარიშის გაზრდის ნაღდი შესაძლებლობა, თუმცა თბილისელები, ამ კონკრეტულ სიტუაციაში, უფრო ურუშაძის თავგანწირულ და ოსტატურ ნახტომს უნდა უმადლოდნენ, ვიდრე მეტოქის ფორვარდის გაუბედაობას.

რაც შეეხება „დინამოს“, მისი უპირატესობა მთელი მატჩის მანძილზე აშკარა იყო. დასაწყისში, როგორც ეს ხშირად ხდება, მასპინძლებმა დაიპყრეს სივრცე, სამოქმედო ასპარეზი. შემდეგ ამ უპირატესობის რეალიზებას შეუდგნენ და ბოლოს მიაღწიეს საწადელს. გოლი, რომელიც 27-ე წუთზე გავიდა, უმაღლესი საშემსრულებლო ოსტატობის ნიმუშს წარმოადგენდა. მეტრეველი მსუბუქად და ლამაზად შეიჭრა მარჯვენა ფლანგზე და ძლიერად დაარტყა კარში. ლიუბარცევმა ბურთი ვერ დაიჭირა და უკუაგდო იგი საჯარიმო მოედნის სიღრმეში, იქვე გაჩნდა ხურცილავა, რომელმაც ზუსტი დარტყმით გახსნა ინგარიში.

შესვენების შემდეგ დინამოელებმა წამოიწყეს ახალი მძლავრი შტურმი, მაგრამ ხან ტაშკენტელმცველების, ხან კი მეკარის თავგანწირულმა თამაშმა მინიმუმამდე დაიყვანა თბილისელთა საბრძოლო სულისკვეთება. შემდეგ კი დადგა საბედისწერო 72-ე წუთი, როცა აბსოლუტურად მშვიდობიან პოზიციაში იბრაგიმოვის მეერ სხვათა შორის დარტყმული ბურთი თბილისელთა კარის სიღრმეში ჩაეშვა. ბურთის ტრაექტორიას მიჯადოებულებივით შეჰყურებდნენ ურუშაძე და მცველები.

ის, რაც შემდეგ მოხდა, ძნელად წარმოსადგენი და დასაჯერებელია. თბილისელები ქულის დაკარგვას საშიშროებამ გაათკეცებული მონდომებითა და ენერგიით აამოქმედა. შეტევები ზვირთებად მიაწყდა სტუმრების კარს. სწორედ ამ დროს ბურთი სამჯერ მოხვდა ძელს. და როცა თამაშის ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო, ხურცილავამ უძლიერესი საჯარიმო დარტყმით ერთხელ კიდევ იხსნა თავისი გუნდი.

ნ. გუგუშვილი.

* * *

სურათზე: ხურცილავას პირველი გოლი...

ფოტო მ. ზარგარიანისა.

და, მაინც გვჯერა...

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 27 სექტემბერი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ზარია“ (ლუგანსკი) 0:2 (0:1).

„ტორპედო“: კოტრიკაძე, წვერავა, ებრალიძე, შერგელაშვილი, ჩხაიძე, ასტაშვილი, ზარია, ნაჭყებია, ჭოლაძე (გადელია), ვეკუა, ჭითანავა (ჩიხლაძე).

„ზარია“: ტკაჩენკო, შულეენკო, რაშჩუკინი, აბრამოვი, ა. ყურავლიოვი, ბ. ყურავლიოვი (გალუსტოვი), ნაზაროვი, მუსიენკო, ვ. სტრელცოვი, ლატვინოვი, კუზნეცოვი (შატაევი).

მსაჯი: ე. ხიარმსი (ტალინი).

დუბლიორები — 2:1 ტორპედოელთა სასარგებლოდ.

წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში ქუთაისის „ტორპედო“ ყოველ მატჩში თითქმის ერთიდაიგივე ტაქტიკით თამაშობს: გაძლიერებული დაცვა და ეპიზოდური კონტრშეტევები. ასე ხდება ყოველ გუნდთან — სუსტთანაც და ძლიერთანაც, შინ თუ გარეთ. ამ მეთოდმა გუნდს არა ერთი და ორი ქულა დაუკარგვინა მაშინაც კი, როცა ანგარიში თვით მიჰყავდა და ისიც საკუთარ მოედანზე. გიხსენეთ თუნდაც შეხვედრა ალმა-ათის „კაირატთან“, ტაშკენტის „პახტაკორთან“ და ა. შ.

როცა ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შედის და ყოველ ქულას ოქროს ფასი აქვს, მსგავსი ტაქტიკა ჩვენის აზრით, ცოტა არ იყოს, სარისკოა. წინა ნაზზე მყოფი ორი ფორვარდი კონტრშეტევებისთვის მუდამ უკმარია, რადგან მათ მეტწილად ბრძოლა მეტოქის 4-5 მცველის წინააღმდეგ უხდებათ.

ლუგანსკის „ზარია“ არც ისე ძლიერი კოლექტივია. სწორედ ამიტომ, ასეთ გუნდთან შეხვედრაში, ისიც საკუთარ მოედანზე, გამარჯვება თავიდანვე უნდა დაგეგმო და საამისოდ უფრო გაბედული და რაციონალური გზა გამოძებნო. „ტორპედო“ კი მაშინაც, როცა ანგარიში სტუმრებს მიჰყავთ, ჩვეულ გზას არ ღალატობს. ამას გუშინწინდელ მატჩში ხშირად ემატებოდა ტექნიკური წუნიც. მაგალითად, ჭითანავამ ყოველად უპასუხისმგებლოდ შეასრულა დარტყმები კარში 8-10 მეტრის მანძილიდან.

შესაძლოა ვინმემ თქვას, რომ მსგავსი ლაფსუსები ზოგჯერ სახელგანთქმულ ოსტატებსაც მოსდითო. ეს, რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ ერთ მატჩში, როცა ზედიზედ რამდენიმეჯერ დაკარგავ ანგარიშის გახსნის საშუალებას, გასამართლებელი აღარაფერი რჩება.

იყო რა თქმა უნდა, სხვა, არსებითი მინუსებიც, რომლებმაც განპირობა კიდეც ეს მარცხი: უსწორო გადაცემები, უზუსტო დარტყმები, ზედმეტი სიფრთხილე შეტევებისას და სხვ. თამაშის ნორმალური მსვლელობა შეაფერხა წვიმამაც, თუმცა ეს უკვე ობიექტური მიზეზი არ არის, რადგან წვიმა მეტოქესაც უშლიდა ხელს. პირველი ბურთი გატანილ იქნა 30-ე წუთზე ნაზაროვის მიერ, მეორე კი მატჩის დამთავრებამდე 1 წუთით ადრე საჯარიმოდან, მცველებისა და მეკარე კოტრიკაძის შეუთანხმებლობის შედეგად (მეორე ბურთი გაიტანა შატაევმა).

მაგრამ ისე ნუ გამიგებთ, თითქოს ტორპედოელთათვის ყველაფერი უკვე დამთავრდა და გუნდის ბედიც გადაწყვეტილი იყოს, პირიქით, ჩვენ გვწამს ქუთაისელი ფეხბურთელების, ვიცით, რომ მათ შეუძლიათ საჭირო მომენტში მობილიზება. „ტორპედომ“ ერთხელ კიდევ უნდა დამტკიცოს, რომ იგი „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის სრულუფლებიანი წევრია.

შ. ნიშარაძე.
(ჩვენი კორ.).

ფეხბურთის ახალი ამბები

● **კოპენჰაგენი, 26 სექტემბერი.** მსოფლიო ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩში ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა დაამარცხა დანიის ფეხბურთელები — 3:0. ბურთები გაიტანეს იოკლმა, კუნამ და ადამეცმა. საპასუხო მატჩი შედგება 20 ოქტომბერს, ბრატისლავაში.

● **ბელგრადი, 26 სექტემბერი.** იოლი გამარჯვება მოიპოვა იუგოსლავიის ნაკრებმა ფინეთის გუნდთან შეხვედრაში — 9:1.

● **ბუენოს-აირესი, 26 სექტემბერი.** ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელმა, ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედმა“ საკონტინენტთაშორისო თასის პირველ ფინალურ მატჩში წაგო არგენტინის „ესტუდიანტესთან“ — 0:1. ერთადერთი ბურთი თავური დარტყმით გაიტანა მ. კონიგლიაარომ. საპასუხო მატჩი გაიმართება 16 ოქტომბერს, მანჩესტერში.

● **მარსელი, 26 სექტემბერი.** საფრანგეთის ნაკრებმა აქ ითამაშა მსოფლიოს ექს-ჩემპიონებთან — გფრ-ის ფეხბურთელებთან. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. 72-ე წუთზე ანგარიში გახსნა ფრანგმა ბოსკიემ, ხოლო თამაშის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე, ოვერატმა აღადგინა წონასწორობა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.